წელიწადი 1-ლი

ფასი 15 კაპ. (№ 75)

კვირა 21 მაისი 1917 წ.

# ჩვენი ქვეყანა

გაზეთის ფასი:
წლი რად. . . 15 მან.
ნახევარი წლით . . 8 მან.
თვიურად . . 1 მან. და 50 კ.
ცალკე ნუმერი შვიდი კაპ.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5 მ. სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მ. და დანარჩენიც სექტემბრის პირველამდე.

განცხადების ფასი:
პირველ გვერდზე სტრიქონი . . .
ღირს . . . 25 კ.
უკანასკნელ გვერდზე . . . 15 კ.
ქალაქ გარედან მიღებული განცხადებები . . .

რედაქცია და კანტორა იმყოფება თფილისის ქ. ს. მიქელაძის ს.
კანტორა ღიაა დილის 9—2 საათამდის, და საღამოს 5—8 საათამდის, კვირა უქმე დღეების გარდა.

№ 34 — ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — № 34

19 მაის უეცრად გადაიცვალა თევზის მრეწველი

**დათიკო თომას ძე ტყეშელაშვილი.**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ძმები: ონისიმე, გიორგი და ექიმი კონსტანტინე ტყეშელაშვილები. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე ჰაჭავაძის ქუჩაზე საკუთარ სახლში დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

3—1

## მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის

ზედამხედველი კომიტეტი საყოველთაოდ აცხადებს, რომ ბ. ბ. ბანკის რწმუნებულთა კრება დანიშნულია ქ. ქუთაისში ბანკის შენობაში 28 მაისს 1917 წელს, დილის 10 საათზე.

ბანკის წესდების 89 ის, შენიშვნის თანახმად კრება კანონიერად ითვლება, მიუხედავად დამსწრე რწმუნებულთა რიცხვის რაოდენობისა.

განსახილველია შემდეგი კითხვები:

1. ბანკის ოპერაციათა 1916 წლის ანგარიში და მოხსენებანი ზედამხედველი კომიტეტისა, გამგეობისა და დამფასებელი კომისიისა.
2. ზედამხედველ კომიტეტისა და ბანკის გამგეობის შეერთებულ საკრებულოს მოხსენება.
3. ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო კასის ანგარიში.
4. გამგეობის მოხსენება ბანკზე დარჩენილ მამულების შესახებ.
5. გამგეობის მოხსენება ბანკის წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლისა და შევსების შესახებ.
6. შეერთებულ საკრებულოს სხდომა ბანკის სამოქმედო რაიონის გადიდების შესახებ.
7. ბანკის 1917 წლის ხარჯთაღრიცხვის განხილვა.
8. თანამდებობის პირთა არჩევნები იმათ მაგივრად, ვინც სამსახურის ვადის შესრულების გამო გავიდა: ზედამხედველ კომიტეტის 4 წევრისა, გამგეობის 2 წევრისა და ერთი კანდიტატისა.

ელექტრო „ამპირ“ თეატრი

ხუთშაბათიდან, 18 მაისიდან გრანდიოზული მსოფლიო სურათი.

**გრენადის ვარდი**

დრამა 6 ნაწ. ცნობილ ულამაზეს ქალის ლინა კავალიერის მონაწ. რადგანაც ამ სურათის დამზადებაზე დიდი ხარჯებია გაწეული, ადგილების **ფასები მომატებულია.**

**ანონსი:** ორშაბათიდან, 22 მაისიდან **მკვდრეთით აღმსდგარი დონ-ჟუანი.**

დრამა 5 ნაწ. პროლოგით ვ. პოლონსკისა და სხვათა მონაწ. 1. სიყვარულის ახლო; 2. გზა გულისაკენ; 3. ქალი დამარცხდა; 4. ყველის წინააღმდეგ; 5. დიდებულ გრძნობის სამსხვერპლო.

**ყურადღება!** ამ დღეებში იხსნება საზაფხულო თეატრისგანყოფილება!

ელექტრო „რადიუმ“ თეატრი

18 მაისს საგულისხმიერო პროგრამა

ხუთშაბათიდან, 18 მაისიდან პირველად კინემატოგრაფის მსახიობთა ასეთი ანსამბლი! ვ. პოლონსკი, ვ. მაკსიმოვი და ვ. ხოლოდნაია. საზოგადოების 3 საყვარელი მსახიობი!

**ბუხართან.**

დრამა 6 ნაწილათ ცნობილ რომანსზე: „მარტოკა სდგეხარ და ნაღვლიანად შორს იყურები“-ზე აგებული. რადგანაც ამ სურათის დამზადებაში დიდი ხარჯებია გაწეული, **ფასები მომატებულია.**

**ანონსი:** ორშაბათიდან, 22 მაისიდან ნაჩვენები იქნება დიდებული სურათი

**შავი ყორნები.**

კინო დრამა 5 ნაწილ. ძველი რეჟიმის დროს მწერალი ვ. პროტოპოპოვის აკრძალულ პიესის მიხედვით. ამ სურათში გამოყვანილია შავი ბრბო, რომელიც სარწმუნოების სახელით ურცხვად ატყუებს ხალხს.

**ყურადღება!** ამ დღეებში გაიხსნება თეატრის საზაფხულო განყოფილება!

ქუთაისში დაარსდა ახალი წიგნის გამომცემლობა

**„განათლება“**

რომელსაც მიზნად აქვს დაუმზადოს და მიაწოდოს განახლებულ ქართულ შკოლას როგორც დაბალს, ისე საშუალოს, და აგრეთვე მომავალ უმაღლეს სასწავლებელს შესაფერი სახელმძღვანელოები. სალიტერატურო და სამეცნიერო წიგნები, რუქები, ატლასები და ყოველ გვარი გამოცემები, რაც ქართულ შკოლას გამოადგება.

ავტორებს შეუძლიათ გაუგზავნონ თავის ნაწარმოები და მიმართონ პირობების გასაგებად გამომცემლობის კანტორის გამგეს გიორგი ს. ვანიძეს დილის 9 ს. 12 ს—დი. მისამართი: ქუთაისი ქართული გიმნაზია.

# დღეს:

**წერილები:**

დ. გურული — ფედერალისტთა კონფერენცია.
ია ეკალაძე — ეგნატე ნინოშვილის ხსოვნას.
დ. თომაშვილი — კიდევ „ალიონს“.
ჯიხ. — ომი.
ლ. მაჭავარიანი — ლექსი.
ქართული პრესა.

**ცნობები:**

რევოლუციის ამბები. მსოფლიო ომი. ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ეროვნული კითხვა. სრულიად რუსეთ. მუშ. და ჯარისკაცთა ყრილობა. სოც.-ფედერალისტთა კონფერენციის რეზოლუციები. მე-8 ყრილობა სახალხო თავისუფლების პარტიისა. ჟანდარმების მოქმედება. ადლერის გასამართლება. რუსეთი. უცხოეთი. ახალი ამბავი.

სატახტო ქალაქის ცირკი მმ. ეჯიმოვებისა.

ჰოსპიტლის ქუჩა საკუთარ სახლში.



კვირას 21 და ორშაბათს 22 მაისს

გაიმართება დიდი წარმოდგენები.

გასტროლებისა გამოჩენილ ბელგიელთა დასისა

**5 კლიკეტი**

გასტროლები ახალგაზრდა ცირკის ქალისა ჟენიასი და სხვა. დაიწყება, დიდი საერთაშორისო ჩემპიონ ფრანგული

**ჭიდაობა.**

მონაწილეობას იღებს 15 ქალი. ყოველ დღე კენჭით იჭიდავებს 3 წყვილი. ბავშვებო! დღეს, 21 მაისს კვირას უკანასკნელი წარმოდგენაა. დასაწყისი ნაშუადღევის პირველ საათზე.

ფასები დაკლებულია 5 მაურიდან მანეთ ნახევრამდე ლოჟა 6 მანეთი. მონაწილეობენ ცნობილი ბელგიელთ **5 კლიკეტი.** განსაცვიფრებელი ახალგაზრდა ქალი ჟენია. გამოიყვანენ გაწვრთნილს ცხოველებს, რაც დიდს სენსაციებს იწვევს დამსწრე საზოგადოებაში. მონაწილეობას მიიღებენ ყველა გამოჩენილი კლოუნები. დასაწყისი საღამოის წარმოდგენებისა 8 ნახევარ საათზე. ჭიდაობის დასაწყისი საღამოს 10 საათზე.

## მიიღებს პრემიად

ორმოცდა ათ მანეთს, ვინც გადასჭრის შემდეგ საკითხს.

**რიცხვის მცნება**

შეიძლება თუ არა განისაზღვროს?
(Опредѣлимо или неопредѣлимо понятіе: число?)

თუ შეიძლება, საჭიროა აღინიშნოს მეცადინეობის მსვლელობა და შემდეგ განსაზღვრულ იქნეს მცნება რიცხვისა. თუ შეუძლებელია რიცხვის განსაზღვრა ავტორმა უნდა დაამტკიცოს.

ამ საკითხის შესახებ პასუხი უნდა დაიბეჭდოს გაზ. „ჩვენს ქვეყანაში“ პირველ ივნისამდის. ჟიურის წევრებად რედაქცია მოიწვევს სპეციალისტებს. **რედაქცია**

## ფედერალისტთა კონფერენცია.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან,— სოც.-ფედერალისტთა კონფერენცია დასრულდა. კონფერენციის რეზოლუციებიც იყვნენ გაზეთებში აღნუსხნულნი. მაგრამ ეს რეზოლუციები ჩვენ იმდენად არ გვაინტერესებენ ამ წერილში,—ჩვენ უფრო გვინდოდა, გაგვეგო პარტიის დღევანდელი სულიერი განწყობილება, რამდენადაც ეს კრებაზე გამოიხატებოდა. გვინდოდა, დაგვენახა ის განსხვავება, რომელსაც დღევანდელი მომენტი და ჩვენი ცხოვრების პირობები, პარტიის თვალსაზრისით, იწვევენ.

კონფერენციაზე ორნაირ მიმდინარეობას შევამჩნევდით. გამოჩნდენ მემარცხენეებიც და მემარჯვენეებიც. მემარცხენენი ერთობ გადაჭარბებულად „მემარცხენობდენ“. თითქო ცდილობდენ, მათ სოციალისტობაში ეჭვი არავის შეეტანა, და, რაც შეიძლებოდა, უკიდურესობას იჩენდენ. ზოგიერთი დელეგატის სიტყვიდან გამოდიოდა, რომ არა თუ სოციალისტურმა პარტიებმა, არამედ დიდმა მემამულემ როძიანკომაც კი, კარლო ჩხეიძის წყალობით, ვითომდა მიწის სოციალიზაცია აღიარა. იქამდი მივიდენ, რომ კრებაზე მბრძანებელი კილოთი გაიძახოდენ - ნუ ვუცდით დამფუძნებელ კრებასო, ახლავე, დაუყონებლივ, მივჰყოთ ხელი მიწის სოციალიზაციასო,

ეს, რასაკვირველია, ყველა ადვილად გასაგებია: აბა რა „სარევოლუციო პარტია“ იქნებოდენ ფედერალისტები, თუ იგინი ამ რთული კითხვის გადასაწყვეტად დამფუძნებელ კრებას, ნორმალურ კანონმდებლობას, მოუცდიდენ?!

მაგრამ სხვაც ბევრი რამ იყო კრებაზე იმისანა, რაც ახირებულ შთაბეჭდილებას იწვევდა. მაგ., ერთობ ბევრს ლაპარაკობდენ „სანადელო მიწაზე“ და „ჩამონაჭრებზე,“—თითქო ეს არის ძირითადი საკითხი მიწის მფლობელობის მოწესრიგებისა ითქრებდით, რომ ამათ ვერ გაუგიათ ჯერ ის კანონი 1912 წლისა, რომლის ძალით „სანადელო მიწები“ უკვე გლეხის კერძო საკუთრებას შეადგენენ, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ კანონს დეკლარაციის ერთ მუხლში იხსენიებენ. გამოდის, რომ კონფერენციის წევრებმა იციდენ ეს კანონი, მაგრამ სახეში ჰქონდათ, გლეხები განეთავისუფლებინათ იმ სახაზინო გადასახადისაგან, რომელიც მათ „სანადელო მიწის“ ბეგარად ადევს. მაგრამ ვერ გაგვიგია, ეს რა აგრარულ საკითხს შეადგენს, რა იმისთანა ძირითად პრინციპს წარმოადგენს, რომ იგი მიწის მფლობელობის მოწესრიგებას სარჩულად დაედოს?!

არ იყო კრებაზე ჯეროვანი დაკვირვება და საგნის ღრმად გაშუქება. მაგ., როგორც ზევით მოვიხსენეთ, კრებაზე დაჟინებით გაიძახოდენ: „ახლავე სოციალიზაციაო!“, და არავის არ უფიქრია, რა ნაირი შედეგი ექნება ამ ეკონომიურ რევოლუციას. არავის უთქვამს რა იმაზე, რომ სოციალიზაციის შემოღება—სავსებით გარდაქმნა იქნება ჩვენი სამეურნეო ცხოვრებისა, და ეს გარდაქმნა, რასაკვირველია, უმტკივნეულოდ არ ჩაივლის, გამოიწვევს უდიდეს ეკონომიურ კრიზისს. კრიზისი, სხვათა შორის, იმითაც გართულდება და გაძნელდება, რომ ჩვენში მამულები ბანკის ვალით არიან დატვირთულნი. პროფ. ბოლოლეპოვის გამოკვლევით, კერძო საკუთრებას რუსეთში ოთხი მილიარდი იპოტეკური (ბანკების) ვალი აწევს! ეჭვი არაა, დამეთანხმება მკითხველი, რომ ჩვენი ქვეყანაც ვერ აშორდა ამ საგრძნობელ ეკონომიურ უბედურებას.

ნუ თუ ჩვენი ფედერალისტები ფიქრობენ, რომ ამ საგანს მოწესრიგება არ უნდა, მოწესრიგება მანამდი, სანამდი სოციალიზაციაზე გადავიდოდეთ!

დიდ ბოდიშს ვიხდით, მაგრამ მოვალეობა პუბლიცისტისა გვაიძულებს არ დავფაროთ, რომ აქ ჩვენ სოციალისტებს „პარლამენტარული საქმიანობა“ და „მუქურ ვარსკლავის“ მსგავსება კი არა, დიდი დაუფიქრებლობა დაეტყოთ!

იყვნენ, როგორც ზევით ვთქვით, მემარჯვენენიც. იგინი — სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ — უფრო ყურადღებას აქცევდენ ჩვენი ცხოვრების სინამდვილეს და ხალხის ფსიხოლოგიას. ბ-ნმა ლასხიშვილმა სთქვა: „ბურჟუაზია და დიდი ნაწილი გლეხობისა (ჩვენ კი ვიტყვით: თითქმის ყოველი გლეხი) კერძო საკუთრების პრინციპით არიან გაჟღენთილიო“. მაგრამ რა დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ აქედან? ყველაფერი, რაც გნებავთ, გარდა მიწის სოციალიზაციისა. გავიხსენოთ ერთი უმთავრესი პრინციპი კანონმდებლობისა, რომელიც თავისუფალ სახელმწიფოში უთუოთ ყოველთვის დაცული უნდა იქნას. ეს პრინციპი იმაში გამოიხატება, რომ ახალი კანონი, რასაც არ უნდა ეხებოდეს იგი — მიწის საკითხს თუ პოლიტიკას,— უნდა შეეფერებოდეს ხალხის ფსიხოლოგიას, უნდა ეთანხმებოდეს ხალხის შეხედულებას და სულისკვეთებას. ახლა შეადარეთ ბ-ნი ლასხიშვილის სიტყვები ამ სოციოლოგიურ დებულებას. თუ კი „ბურჟუაზია და დიდი ნაწილი გლეხობისა“, ესე იგი ხალხის უმრავლესობა, „კერძო საკუთრების პრინციპით არის გაჟღენთილი“, მაშინ, ცხადია, მიწის საკითხი თავისთავად წყდება იმ სახით, რომ კერძო საკუთრება შეურყევლად უნდა დარჩეს, რადგანაც სოციალიზმი ხალხის შეხედულებას და მისწრაფებას არ შეეფერება.

**დ. გურული.**

## ეგნატე ნინოშვილის ხსოვნას.

ეს იყო ამ **ოცდა სამი წლის** წინად! გლოვის ზარივით მოედო მაშინდელ ახალ გაზობას ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალების ამბავი და ყველამ მწარედ ამოვიკვნესეთ.

ოთხმოცდა ათიანი წლები ახლი ხანაა ქართველი მშრომელი ხალხის გამოფხიზლებისა, ამ წლებიდან იწყება ახალი ისტორია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებასა, ამ წლებიდან დაადგა ჩვენი ერის მშრომელი ნაწილი თვით-გამორკვევასა და თვით შეგნების გზას!...

ამ წლებამდე მივიწყებული იყო სოფელი და სოფლის ხალხი, ამ წლებამდე ხალხს მესვეურობდა თავა-აზნაურული ინტელიგენცია, რომლის უმრავლესობაც საქართველოს ხსნას, ქართული ხალხის ბედის გამობრუნებას რუსის მეფის ერთგულობასა და დიდრონ მოხელეთა გულის მოგებაში ხედავდა.

მართალია, ნეტარხსენებულმა ილია ჭავჭავაძემ, ამ ბუმბერაზმა მეცხრამეტე საუკუნის ჩვენის მწერლობისა და ხალხო

სნობისამ, ახალგაზდურის თავგამოდებითა და შეუპოვრად დასჭექა: „ჩვენ ჩვენ თავს უნდა ვუშველნეთო,“ მაგრამ ხმა იგი დაიკარგა მაშინდელ საერთო უილაჯობაში. მხოლოდ რამდენიმე კაცის გულში იპოვა მან უკვდავი ბინა და ამ რჩეულთა არსების სულის უუწმინდესს კუნჭულში დაიწყო ღვივილი. და აი, დღეს, მთელი წრე, მთელი ჯგუფი მთელი დიდი ნაწილი ერისა მოითხოვს თავისუფალ საქართველოს თავისუფალ რუსეთში!...

საქართველოს გაღვიძებასა, გამოფხიზლებასა, გათვითცნობიერებასა და საერთაშორისო სახელოვანებას დიდად შეუწყო ხელი ოთხმოცდა ათიან წლების ახალგაზდობის ერთმა ჯგუფმა, რომლის თვალსაჩინო წევრადაც ითვლებოდა ეგ. ნინოშვილი, ქართველი ბელეტრისტი და ახალი მიმართულების დამწყები ჩვენს სიტყვა-კაზმულ მწერლობაში.

დღეს ეს ყველასათვის თვალსაჩინოა, დღეს ყველა ხედავს იმ მედგარ ტალღას, ტალღას დემოკრატიულს, რომელმაც უნდა მოუპოვოს საქართველოს თავისუფლება რეალურად, რომელმაც უნდა ჩააბას საქართველო საერთაშორისო ფერხულში, როგორც სწორი და ტოლი სხვა. თავისუფალი ქვეყნებისა, როგორც მშობელი მსოფლიოს კეთილდღეობისათვის მებრძოლთა, როგორც დამამტკიცებელი იმისა, თუ „რა ლომებს ზრდის ქართველის ბუდე“, მაგრამ ამ ოცდა ოთხი, ოცდა ხუთი წლის წინად, ამ დიდი ტალღის ამგორებელი ახალგაზდობა შეუმჩნეველი იყო. შეუმჩნეველი იყო ეგნატე ნინოშვილიც და ისეც დალია სული, რომ მაშინდელი ქართველ ფართე საზოგადოებას მონაწილეობა არ მიუღია ეგნატე ნინოშვილის გლოვნაში.

სამაგიეროდ, არ დარჩენილა არც ერთი იმ დროინდელი ცოტად თუ ბევრად შეგნებული ახალგაზდა, რომ არ მისულიყვეს ეგნატეს უდროოდ გაცივებულ გვამთან და ცრემლით არ შეეფიცნოს „ბრძოლა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ქვეყნის მჩაგვრელთა და მტარვალთა წინააღმდეგ“.

აქ, იმ დღეს დაირაზმა მთელი ახალგაზდობა, ხელი ხელს მისცეს და შეიქმნა ის ძლიერი ჯგუფი, რომელსაც შემდეგში „მესამე დასი“ დაერქვა.

ისტორია ამ „დასისა“ და მისის მოღვაწეობისა იმდენად ცნობილია, რომ ჩვენი დახასიათება არ ეჭირვება. მომავალი თავისუფალი საქართველო ღირსეულად დააფასებს ამ „დასის“ „მემარჯვენე“ თუ „მემარცხენე“ ფრთათა ღვაწლს და ამაგს.

დღეს კი, დღეს, როცა ეგნატე ნინოშვილის გარდაცვალებიდან ოცდა მესამე წლის თავზე, კვლავ იკრიბებიან მისი თანამებრძოლნი და ამ მებრძოლთაგან გაწაფული ახალგაზდობა, რათა ეგნატეს ობოლ საფლავს აუწყონ მტარვალთა დამხობის ამბავი, მეც ერთი მისი მოწაფეთაგანი შორიდან ვიყრი მუხლს ამ დიად სამარის წინაშე და, როგორც ამ ოცდა სამის წლის წინად, ეგნატეს დასაფლავების დღეს—ცრემლით ვევედრებოდი, ანდერძი მისი უკვდავ ყოფილიყოს ჩვენ შორის, ახლაც ვლაღადებ;

— ეგნატე! როგორც უკვე აღსრულდა ნატვრა შენი და დაიმხო მონობა ჩვენი ხორციელი, ისევე დამხობილიყვესმცა მონობა ჩვენი სულიერი და შენი საფლავი გამხდარიყოსმცა სალოცავად განთავისუფლებულის სრულიად საქართველოისა.

ია ეკალაძე.

## ქართული პრესა.

„ხალხის თავისუფლება“ში ბ. ივ. გომართელი ერთს მეტად საყურადღებო კითხვას საქართველოს ავტონომიისა და პარლამენტს ეხება, პატივცემული ავტორი არკვევს პარლამენტის როლს დემოკრატიულ წყობილებაში, მის მნიშვნელობას საერთოდ და აღნიშნავს იმ უხერხულებათა რომელიც ქართველ დემოკრატიას წინ ელობებიან ამ დაბრკოლებათა შორის უმთავრესი ის არის, რომ ქართველი დემოკრატია რუსეთის პარლამენტში ვერც მუშასა და ვერც გლეხს ვერ ამოირჩევს, იმიტომ რომ, როგორც სამართლიანად ამბობს ივ. გომართელი,

„რუსეთის პარლამენტში იქნება რუსული ენა.

მაშასადამე ქართველმა დემოკრატიამ უნდა გაგზავნოს იქ დეპუტატებათ რუსულის კარგათ მცოდნე პირები—ნასწავლი კაცები.

თხუთმეტი წლიწადი რუსულს სასწავლებლებში ვსწავლობდი, საშუალო სასწავლებელი გავათავე, უმაღლესი გავათავე, შვიდ წლიწარს რუსეთის დედა ქალაქში ვცხოვრობდი და რუსულ ენაზე ვსწავლობდი მიუხედავათ ამისა რუსეთის პირველ პარლამენტში მაინც მეძნელებოდა ლაპარაკი და ჩვენი მუშა, ჩვენი სოფლის კაცი კიდეც რომ აირჩიოს დემოკრატიამ რუსეთის პარლამენტში, რა უნდა ილაპარაკონ, ან რა უნდა გაიგონ?

თავის ნიჭს ესენი აქ ვერ გამოიჩენენ, თავისი ცეცხლით ესენი ვერვის დასწვავენ და ვერავის გაიტაცებენ.

ჩვენი მუშა, ჩვენი გლეხი ვერასოდეს ვერ შეისწავლის რუსულ ენას იმდენათ, რომ რუსულ პარლამენტში მან ღირსეულათ იბრძოლოს ამ ენის შემწეობით.

მართალია, ჩვენი ნასწავლი დეპუტატები ერთგულად დაიცავენ ჩვენი დემოკრატიის ინტერესებს რუსეთის პარლამენტში, მაგრამ მარტო ეს არა კმარა. პარლამენტი ერთგვარი სკოლაა, და საჭიროა, რომ ამ სკოლაში თვითონ ჩვენი მუშები და ჩვენი გლეხობა იყვნენ.

პარლამენტი კლასთა ბრძოლის ასპარეზია და საჭიროა, რომ აქ ჩვენი მუშები, ჩვენი გლეხები იბრძოდენ და ვითარდებოდენ.

საჭიროა, რომ თვითონ მუშებში, გლეხებში აღმოჩნდენ საუკეთესო მოლაპარაკენი, მჭევრმეტყველები.

რუსული პარლამენტი კი ასეთ პირებს ჩვენს მუშებში ვერ აღმოაჩენს.

მაშ როგორი პარლამენტი აღმოაჩენს?

ისეთი, სადაც ჩვენი მუშა და ჩვენი გლეხი ილაპარაკებენ ქართულ ენაზე.

ასეთი პარლამენტი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ ჩვენ მივიღეთ ეროვნული თვითმართველობა.

ჩვენ რომ მოვიპოვებთ ეროვნულ თვითმართველობას, თფილისში გვექნება საკუთარი პარლამენტი. ამ პარლამენტში ქართველი ხალხი აირჩევს ნასწავლ პირებსაც—ვექილებს, ექიმებს, მასწავლებელს, მაგრამ აირჩევს მუშებსაც, სოფლის გლეხებს.

ჩვენს მუშებში, ჩვენს გლეხებში დიდი ნიჭია დამალული. ჩვენს პარლამენტში ეს ნიჭი გაიშლება და ჩვენში გაჩნდებიან საუკეთესო მოლაპარაკე მუშები და გლეხები, რომლებიც ჩვენი ქვეყნის საქმეს სათავეში ჩაუდგებიან და მოაწყობენ მას ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროთ.

ქართველმა მუშებმა უნდა წარმოშონ ქართველი ბებელები.

ამისათვის საჭიროა ქართველი პარლამენტი.

ქართული პარლამენტი კი შეიძლება მხოლოდ ავტონომიურ საქართველოში.“

## ო მ ი.

დამდგომ ზაფხულის ბრძოლის კომპანია მეტად გაურკვეველი სახისაა. ომის იმ ასპარეზებზე. რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, ბრძოლა შენელდა. მოულოდნელად ახმაურდენ შედარებით უმნიშვნელო ფრონტები იტალიისა და ბელგეთისა. რუსეთის აღმოსავლეთის ასპარეზზე პრუსიის სამხედრო ბნაკი ისევ „საიდუმლო პასივობაშია“. რაც შეეხება დასავლეთის ასპარეზს, იქ ჰინდერბურგი გაათორებულ „მოგერიებითს ომს“ აწარმოვებს. ამრიგად ომის სიმძიმე დასავლეთისკენ გადიხარა.

კაოებიის და მესოპოტამიის ფრონტებზე ბრძოლა მიყუჩდა. 16, 17, და 18 მაისის სამხედრო ბანაკის ცნობით ოსმალები მზვერავთა მოქმედებით კმაყოფილდებიან. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ ისინი რომელიმე მიმართულებით დიდ შემოტევისთვის ემზადებიან.

საერთოდ ამ ზაფხულის ომი შარშანდელზე გაცილებით უფრო მეტი უმოქმედობით და ნერვიულ გამოურკვევლობით მოგვევლინება.

ჯიხ.

# რევოლუციის ამბები

პ. დ. ს.

დეპეშები

### პოლონელთა ყრილობა.

**პეტროგრადი.** მაისის 11. სამხედრო მინისტრის ნებართვით მაისის 25 პეტროგრადში მოხდება სამხედრო სამსახურში მყოფ პოლონელთა კავშირების დელეგატთა ყრილობა. ჩრდილო დასავლეთისა და სამხრეთ დასავლეთის ფრონტებიდან დაესწრება ორმოც ორმოცი დელეგატი: კავკასიის ფრონტიდან 30; რუმინეთის ფრონტიდან 20.

**ახალი კომისარის დანიშნა:**

**ნიკოლაევი.** მაისის 11. საგუბერნიო კომისარად ახლად დაინიშნა გაზ. „მამულიშვილის“ ყოფილი რედაქტორი იურიცინი. ახალი კომისარი მოვალეობის აღსრულებას შეუდგა.

**საგენტოს ცნობის უარყოფა.**

**პეტროგრადი.** მაისის 11. სააგენტოს ცნობა გადმოგვცემდა სევასტოპოლიდან: „შავი ზღვის ფლოტის მოსამსახურენი დიდს მწუხარებას გამოსთქვამენ გუჩკოვის წასვლის გამო დაადგინეს მადლობა გამოუცხადონ მას შრომის გაწევისათვის“ ამის შესახებ შავი ზღვის ფლოტის შტაბის უფროსი კაპიტანი სმირნოვი აცხადებს, რომ ამ გვარი დეპეშა არავის გაუგზავნიაო.

**იუსტიციის მინისტრის განკარგულება.**

**პეტროგრადი.** მაისის 16. იუსტიციის მინისტრმა პერევერზევმა განკარგულება მოახდინა ტულის მემამულის იგნატევის საჩივრის გამო, რომელსაც მოსტაცეს გლეხებმა ჯარისთვის გასაგზავნი 100,000 ფუთი პური და მისწერა ადგილობრივ პროკურორს სისხლის სამართლის წესით დასაჯონ ხსენებული გლეხები, როგორც სახელმწიფოს მოღალატენიო.

**სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარის კაცთა დელეგატების ყრილობა**

**პეტროგრადი.** მაისის 16. სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების დელეგატთა ყრილობა, რომელიც დანიშნული იყო მაისის პირველისათვის სასურველად მიმდინარეობს. საოლქო კომიტეტების ორგანიზაციები დაარსდა ყველგან. ჯარის კომიტეტებიც დაარსდა ზოგან და ზოგან ახლო მომავალში დაარსდება. სრულიად რუსეთის მუშათა და ჯარის-კაცთა ყრილობაზე დასასწრებლად ზოგიერთ ადგილებიდან უკვე დაიწყეს ჩამოსვლა.

**ოფიცერთა ყრილობა**

**პეტროგრადი.** მაისის 16. ოფიცერთა ყრილობა, გაეცნო რა ტენდენციურს ცნობებს რომელსაც ავრცელებენ მუშათა და ჯარის-კაცთა ორგანოები და სხვა გაზეთები ოფიცერთა და ჯარის-კაცთა ყრილობაზე მთავარ სარდლის გენერალ ალექსეევის მიერ წარმოთქმულ სიტყვის შესახებ, ერთხმად აღიარა, რომ ასეთი გამოსვლები გენერალ ალექსევის წინააღმდეგ გამოიწვევს ჯარში არევ-დარევს, რაც მიგვიყვანდა არა სასურველ შედეგამდის. ამიტომ ყრილობა თანაგრძნობასა და ნდობას უცხადებს ხალხის პირველს წინამძღოლს გენერალ ალექსეევს, რომელიც სამი წლიწადია პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას და მომავალშიაც იმედი გვაქვს მედგრად დაიცავს განთავისუფლებული რუსეთის ინტერესებს.

ოფიცერთა ყრილობის პრეზიდიუმი.

**უცხოეთი.**

**პრემიერის დამტკიცება.**

**ჰაგაი.** მაისის 16. სენატმა პრემიერ მინისტრად დაამტკიცა ლიცზინო.

# მსოფლიო ომი

პ. დ. ს.

დეპეშები.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** მაისის 16. ოფიციალი. საღამოთი გერმანელებმა საარტილერიო მომზადების შემდეგ იურტებიზის მიდამოებში ორჯერ მოიტანეს იერიში. მტრის იერიშები მოვიგერიეთ. შამპანში კარნოსა და მორონვილიეს მიდამოებში ხდებოდა შეტაკებები. ჩვენ პატარეებს სასტიკად უშენდენ. მდ. მაისის მარჯვენა ნაპირით ჩვენ დავიკავეთ გერმანელების მცირე სადარაჯო. ასპარეზის დანარჩენს ადგილებში საყურადღებო არაფერი მომხდარა.

**პარიზი.** მაისის 15. ოფიციალი. არტილერია ორივე მხრიდან ენერგიულად მოქმედებდა. ტოტონას მიდამოებში ბრძოლა გრძელდებოდა ხელით სასროლ ყუმბარების შემწეობით.

**ჰავრი.** მაისის 15. ოფიციალი. ჩვეულებრივი საარტილერიო მოქმედებაა.

**პარიზი.** მაისის 15. ოფიციალი, გერმანელები ღამის განმავლობაში სცდილობდენ, ჩვენზე მოულოდნელი თავდასხმა მოეხდინათ შერიზის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ლანცის სამხრეთით. მტრის ცდა უნაყოფო გამოდგა.

**კავკასიის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** მაისის 18. ოფიციალი. ოსმალების ორი როტა სცდილობდა კაშკირის ჩრდილო-დასავლეთით თავს დაგვესხმოდა. მტრის თავდასხმა მოვიგერიეთ. ბითლისის ჩრდილოეთით ქურთები სცდილობდენ ხელთ ეგდოთ ჩვენი თხრილები. ცდამ უნაყოფოთ ჩაუარათ. ბანის სამხრეთით ოსმალები სცდილობდენ, ჩვენს ნაწილებს დაახლოებოდენ. მდ. დიალეს მიდამოებში დაიწყო ტროპიკული სიცხეები ცხელი ქარებით.

**აღმოსავლეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადის.** მაისის 18. ოფიციალი. აღმოსავლეთის და რუმინეთის ასპარეზებზე სროლაა.

**იტალიის ასპარეზი.**

**რომი.** მაისის 15. ოფიციალი. კარსოს მიმართულებით ჩვენ დავიკავეთ მტრის ახალი პოზიციები. ჯამიანოს სამხრეთ აღმოსავლეთით გადავიარეთ ტიმაო და დავიკავეთ სენჯიოვანის დაბლობი. წამოვიყვანეთ 456 ტყვე.

**მფრინავთა მოქმედება.**

**პარიზი.** მაისის 15. ოფიციალი. ფრანგმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლის დროს ჩამოაგდეს გერმანელების 7 მფრინავი აპარატი. 12 აპარატი საგრძნობლად დაზიანდა.

**პეტროგრადი.** მაისის 18. დაბა სოლის მახლობლად ჩვენმა მფრინავებმა ყუმბარები ჩამოყარეს.

**ჰავრი.** მაისის 15. ოფიციალი. ჩვენმა ერთმა აეროპლანმა იერიშები მიიტანა მტრის სადარაჯოზე კლოსტერგუკის მიდამოებში.

**პეტროგრადი** მაისის 17 ჩვენმა მფრინავმა პრაპორშჩიკმა არგეემა და შტაბროტმისტრმა სკარსკიმ მტერზე თავდასხმა მოახდინეს. სტანისლავოვის მიდამოებში ჩამოაგდეს 4 ყუმბარა. დილით მტრის აეროპლანებმა ჩამოყარა 50-მდის ყუმბარა. ზარალი არაფერი ყოფილა.

საჰაერო ბრძოლის დროს მოგვიკლეს მფრინავი პრაპორშჩიკი ნაკორინი.

# ახალი ამბავი.

✦ ეგნატე ნინოშვილის დღე. დღეს გურიაში ეგნატე ნინოშვილის საფლავზე შეიკრიბებიან მისი პატივისმცემელნი, გადაიხდიან სამოქალაქო პანაშვიდს ე. ნინოშვილის აჩრდილს მიულოცავენ ცარიზმის დამხობას და გახსნიან სამკითხველოს მისი ამაგის აღსანიშნავად.

✦ ტუსაღების თხოვნა. ქუთაისის სატუსაღოში მყოფი ტუსაღები სთხოვენ აღმ. კომიტეტს, მიეცეთ მათ თავისუფლება დილა საღამოთი და აგრეთვე აეყაროთ ბორკილები.

✦ აღმ. კომ. შედგენა. 17 მაისს დ. ლეჩხუმში შესდგა ახალი აღმასრულებელი კომიტეტი.

✦ სადორიის ტყის მეთვალყურეთ დაინიშნა ფ. კორძაია.

✦ სასურსათო საქმე. სამშაბათს 16 მაისს სასურსათო კომიტეტმა მიიღო 150 ფუთი სიმინდის ფქვილი.

✦ ქუთაისის სამხედრო უფროსი აუწყებს აღმასრულებელ კომიტეტს, რომ სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლებულ იქმნებიან ის ახალგაზდანი, რომელნიც დაბადებულნი არიან 1898 წ. 1 ქრისტეშობისთვეს შემდეგ.

✦ მუშათა და ჯარისკაცთა საბჭომ დაადგინა, სახალხო მასწავლებლები, რომლებიც ამ ჟამად ჯარში იმყოფებიან ბრძოლის ველზე არ გაიგზავნოს.

— საზოგადო ფურნე. ორშაბათიდნა გაიხსნება საზოგადო ფურნე, რომელიც დღეში 9000 ფუთ პურს გამოაცხობს.

— პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს თფილისის განყოფილება იტყობინება, რომ უკანასკნელ დროს პ. დ. ს. დეპეშები თავის დროზე და რიგზე აღარ მოდის.

✦ ქუთაისის სასამართლოს პროკურორი სთხოვს აღმ. კომიტეტს, შეატყობინოს მას დაუმტკიცეს თუ არა პოლიცმეისტარად ყოფილ მახარაძეს და პიათურის ნაბოქაულარს ალხაზიშვის პროკურატორობა რათა მათ შესახებ გამოტანილ იქმნეს სასამართლოს განაჩენი. სასამართლოს პროკურორი აგრეთვე სთხოვს აღმ. კომიტ. შეატყობინოს იმ პირთა ბედი, რომელნიც 30 [illegible] დღეულნი.

### თბილისი.

— [illegible] 4 [illegible], ამიერ კავკასიის გლეხთა კავშირის ორგანიზაციო კომიტეტი ამ დღეებში გამოსცემს საგლეხო გაზეთს ოთხ ენაზე: რუსულ. ქართულ, სომხურ, და თათრულზე.

— სახლების რეკვიზიცია. სასურსათო სამინისტროს დადგენილებით საგუბერნიო და საოლქო სასურსათო კომიტეტებს ნება ეძლევათ, რეკვიზიციის წესით ჩამოართვან პატრონებს სახლები სურსათის მოსათავსებლად, მარგამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა სახლის პატრონი წინააღმდეგია ქირით დაუთმოს სახლი კომიტეტებს. სახლის ქირა პატრონებს მიეცემათ შეფასების კვალობაზე.

— სარწმუნოებრივი ფანატიზმი. მართალი გამოდგა ცნობა, რომ ზაქათალის ოლქში ქრისტიან ქართველებს ძალათ ამაჰმადიანებენ ზოგიერთი ფანატიკოსებიო ამიერ კავკასიის კომისარიატთან არსებულ სათათბიროს მოახსენა გ. ჟურულმა, რომ სოფ. კახის ქრისტიან ინგილოებს წინადადება მისცეს ფანატიკოს მუსულმანებმა —3 დღეში მუსულმანობა უნდა მიიღოთო. სათათბიროს გადაუწყვეტია წინადადება მისცეს კავკასიის საგანგებო კომიტეტს, რომ სასწრაფოდ შესაფერისი ღონისძიება იქმნას მიღებული ასეთ ძალმომრეობის წინააღმდეგო.

✦ პროტესტი ადლერის სიკვდილით დასჯის გამო. თბილისის მუშათა დეპუტატების საბჭომ და კავკასიის საფოსტო დელეგატების ყრილობამ პროტესტი განაცხადეს ფრიდრიხ ადლერის (ავსტრიელ სოც.-დემოკრატის. რომელმაც შტიურგკი მოჰკლა) სიკვდილით დასჯის გამო.

✦ სასურსათო კომიტეტები და სოფლელნი. თბილისის გუბერნიის სასურსათო კომიტეტს შემდეგ უკანონო მოქმედებისთვის მიუქცევია ყურადღება: სოფლებიდან ჩამოტანილ საქონელს თბილისის საუბნო სასურსათო კომიტეტები და მილიციონერები იჭერენ თურმე, პატრონებს ართმევენ და თავიანთ შეხედულებით ჰყიდიან. საგუბერნიო კომიტეტი აცხადებს საქალაქო კომიტეტისა და ქალაქის მილიციის საყურადღებოდ, რომ ასეთი საქციელი არსებითად ეწინააღმდეგება კანონს, რეკვიზიციის უფლება მხოლოდ საგუბერნიო კომიტეტს აქვს მინიჭებული და ამიტომ ყოველგვარ უკანონობას ეხლავე ბოლო უნდა მოეღოსო.

### პროვინცია.

ბათომი. 14 მაისს გაიხსნა სამაჰმადიანო საქართველოს დელეგატთა ყრილობა. ერთ ერთ სხდომას დაესწრო სახელმწიფო სათათბიროს წევრი აკაკი ჩხენკელი, რომელიც კრებას მიესალმა ლამაზი სიტყვით კრებამ აურაცხელი ტაშით დააჯილდოვა დეპუტატი.

სხდომები ყოველ დღეს ხდება. დელეგატების რიცხვი 52 დის აღწევს. როგორც გადმოგვცეს ყრილობა ამ დღეებში დასრულდება. დაწვრილებით ცნობებს მოგაწვდით.

**სურამი.** მაისის 14, დილის 12 საათზე, აღმასრულებელ კომიტეტის ბინის წინ ხალხმა თავი მოიყარა, კომიტეტის წევრებს უნდობლობა გამოუცხადა და მათი გადაყენება მოინდომა. კომიტეტის ერთმა წევრმა კ. ნინიძემ ხალხს დასამშვიდებლად მთავრობის მიერ გამოცემული ინსტრუქციის კითხვა დაუწყო და ხალხს უხსნიდა, რომ კომიტეტი ჯერ ჯერობით თავის მოვალეობას აასრულებს, ვიდრე ახალი არჩევნები მოხდებაო. ინსტრუქციას რუსულად უკითხავდა. მაშინ შალიბაშვილმა ითხოვა სიტყვა. ნინიძე და შალიბაშვილი ერთმანეთს სიტყვას აღარ აცლიდნენ. ამან ალიაქოთი გამოიწვია. ნინიძემ თავმჯდომარეობას თავი დაანება. ამ დროს ხალხი მისცვივდა მილიციონერებს და იარაღი აჰყარეს ამბობდენ მილიციონერებმა ხალხს თოფები მოუღერესო. ამ არეულობის დროს ხალხმა კ. ნინიძეს და ლომინაძეს სცემა. შეიძლება არეულობა უფრო გადიდებულიყო, მაგრამ მოვიდა კომიტეტის თავმჯდომარე ალ. მდივანი და ხალხს სიტყვა უთხრა. ამით ხალხი დაშოშმინდა. არეულობას ხალხმა თავი გაარიდა და კრებიდან წავიდა, მაგრამ ახლა სხვები მოგროვდნენ. [illegible]

ხალხი შესცვალა და კრებამ მშვიდობიანად იწყო მიმდინარეობა. შემდეგ ერთმანეთის ცილისწამებამ და პირად ანგარიშებმა იჩინა თავი. ზოგს ისეთი რამ დასწამეს, რომ მოსალოდნელიც არ იყო. ხაშურიდან ამოვიდა ჯარი და ხალხის დატუსაღება დაიწყეს.

## უკანასკნელი ამბები

მონარქისტების დემოსტრაცია. 9 მაისს პეტროგრადში ზაბალკანის პროსპექტზე შუა ქუჩაზე გამოჩენილა 7 კაცი, რომელთაგანაც ერთს მოჰქონდა დიდი წითელი დროშა შემდეგის წარწერით: „გაუმარჯოს რუსეთის მეფეს!"

მალე ამათ შეუერთდნენ თანამგრძნობნი და საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი შეიქნა. დემონსტრანტების წინააღმდეგ არავითარ ზომებისათვის არ მიუმართავთ.

### უცხოეთი.

**მღელვარება პორტუგალიაში.** პორტუგალიის სატახტო ქალაქში სურსათ სანოვაგის სიმცირის ნიადაგზე დიდი უწესრიგობა ხდება თურმე. აღელვებული მცხოვრებნი ქუჩაში გამოდიან და პურის საცხობებს ამტვრევენ ერთ დღეს პოლიციელებთან შეტაკების დროს მოკლულ იქნა 10 კაცი, ხოლო დასჭრეს 50.

### ეროვნულ-დემოკრატიული პარტია.

**ბათომი.** ბათომის ერ.-დემ. პარტიის კომიტეტმა განიზრახა საუბნო პარტიულ კომიტეტების არჩევნების მოხდენა, რაც 14 და 16 მაისს სისრულეში მოიყვანა. 14 მაისს მოხდა კომიტეტის არჩევნები 1 და 5 უბნებში. პირველ უბანში აირჩიეს კომიტეტის წევრებათ 8 კაცი, ხოლო 5-ში კი 6 კაცი.

16 მაისს აირჩიეს დანარჩენი უბნების პარტიული კომიტეტები. 2 უბანში არჩეულ იქმნა 5 კაცი, 3-ში 13 და 4-ში 8 კაცი.

კრებებს ხალხი ბლომათ ესწრებოდა. კრებამ არჩეული პირები სასურველათ სცნო და ნდობა გამოუცხადა მათ.

## კიდევ „ალიონს"

განსვენებულის. ევდოშვილის მოღვაწეობაში თქვენცა და მეც ორ ხანას ვარჩევთ. ჩემი და, ვგონებ, თქვენი შეხედულებითაც—პირველ ხანას შეიცავს მისი მოღვაწეობა ცნობილ აქტამდე. მეორე ხანას—აქტს შემდეგ.

პირველი ხანა მეორისგან იმით განირჩევა, რომ მაშინ მგოსანი, სხვა მის პარტიულ თანამოაზრეთა მსგავსად, ცალმხრივად გატაცებული და, ჩემის ფიქრით, შეუწყნარებელი დოგმითაა შებოჭილი, „სამშობლოს ცაზე" გადმომდგარი ამავე სამშობლოს არ მოიხსენებდა, თუ არა ბრჭყალებით შეარტახებულს. გესლიანათ დასცინოდა და ცნება „მამულიშვილობა" საქირავოთ ჰქონდა მიჩენილი.

ახეთი შეგნება შეჰქონდა მას სხვებთან, ერთად მუშათა წრეებში და შედეგი ამ მოღვაწეობისა დღეს საკმაოთ ვიწვნიეთ.

ჩვენ მოგვწონს მისი მებრძოლი და მოქალაქობრივი ჰანგი, რომელსაც მგოსანი თავიდანვე ადგა, მაგრამ ამ ჰანგებისთვის მას ბოლომდი არ უღალატნია იმ განსხვავებით, რომ თავის უკანასკნელ სიმღერებში მან ამ ჰანგებში სამშობლოცა და მამულიშვილობაც ჩააქსოვა.

აქ იწყება ევდოშვილს მწერლობის მეორე ხანა, რომელსაც, სამართლიანად თუ უსამართლოდა ნებით თუ უნებლიეთ, საფუძველი წიწამურის ტრაგედიამ ჩაუყარა.

გარწმუნებთ, რომ ამ ტრაგედიის ხსენება თავზარს მგვრის, მაგრამ ფაქტი ასეთია და, რაკი საჭიროებამ მოითხოვამ უნდა აღინიშნოს.

ამიერიდან განსვენებულმა მწერალმა სამშობლოსა, მამულიშვილობას, ეროვნებას, ეროვნულ უფლებებს არტახები შემოხსნა და აშკარად იმის მედგარ დამცველად გამოვიდა, რასაც წინად სამწუხარო გაუგებრობისა თუ სხვა რამ მიზეზთა გამო გმობდა.

ახლა რა ვქნათ?

თქვენ მოგწონთ მისი პირველი მოღვაწეობა და გმობთ და სავსებით უარყოფთ მეორეს.

მე მომწონს მისი მოღვაწეობის მეორე ხანა მაგრამ სავსებით არა ვგმობ არც პირველს.

როგორ მოვრიგდეთ?

ჩემთან მორიგებას იქნებ არც ისურვებთ და, ვინ იცის, სათაკილოდაც მიიღოთ.

არსებითად კი პატივცემული „ალიონის" რედაქცია ი. ევდოშვილის მოღვაწეობის მეორე ხანას უკვე შეურიგდა, როცა მან ვაჟკაცურად შეანგრია თავის პარტიული ამხანაგების მიერ ამართული კედელი საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური ავტონომიის წინააღმდეგ და ეროვნული უფლების პატიოსან დამცველად გამოვიდა.

ვგონებ—ნათელია! კმარა!

რაც შეეხება წვრილმანებს, საკინკლაო საზოგადო ხასიათის გამოსვლებს, ეს ვისთვის რა სასიამოვნოა? და წყეულიმც იყოს ის პირველად გადადგმული ნაბიჯი, რამაც კულტურულ იდეურს ბრძოლას ჩვენში პირდაპირ ველურ-ბარბაროსული ხასიათი მისცა!...

**დ. თომაშვილი.**

## სრულიად რუსეთის

**მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისა და არმიის კომიტეტების ყრილობა.**

პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის დადგენილებით პეტროგრადში პირველ ივანობისთვეს მოწვეულ იქნება მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოებისა და ფრონტის საარმიო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ყრილობა.

ყრილობისათვის შემუშავებულია შემდეგი დღიური წესრიგი: ომთან დამოკიდებულება; ბრძოლა თავდაცვისა და ზავისათვის; რევოლუციური დემოკრატია და მთავრობის უფლება, სამზადისი დამფუძნებელი კრებისათვის; ეროვნული კითხვა რუსეთში; მიწის, საეკლესიო და მუშათა და ჯარისკაცების საკითხი; წარმოების განაწილებისა და ტრანსპორტის ორგანიზაცია და მათი კონტროლი; სასურსათო და საფინანსო პოლიტიკის კითხვები; ადგილობრივი თვითმმართველობა; საორგანიზაციო კითხვები და არჩევნები.

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი და დამფუძნებელი ყრილობა.

მაისის 28, თბილისში მოწვეულ იქნება პირველი და დამფუძნებელი კრება ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა.

**ყრილობის წეს-რიგი.**

1. საპროგრამო საკითხები:

ა. საქართველოს ავტონომია.

ბ. საქართველოს ტერიტორია.

გ. საქართველოს ფინანსები.

დ. სააგრარო საკითხი საქართველოში.

ე. ავტოკეფალია და სარწმუნოებათა საკითხები საქართველოში.

2. **სატაქტიკო საკითხები:**

ვ. პოლიტიკური მომენტი: რევოლუცია, ომი და ზავი, ახალი მთავრობა, დამფუძნებელი კრება.

ზ. საქართველოს მოსაზღვრე ერები და ოსმალეთის საქართველოს საკითხი.

ც. საქართველოს საპოლიტიკო პარტიები და ეროვნული საბჭოს მოწყობა.

3. საორგანიზაციო საკითხები:

თ. მოხსენება მთავარ კომიტეტისა.

ი. მოხსენებანი ადგილობრივი კომიტეტებისა.

კ. პარტიული პრესა.

ლ. არჩევნები.

ყრილობაზედ გასაგზავნი წარმომადგენელნი უნდა აირჩეს პარტიის ადგილობრივი წევრთა საერთო კრებებზედ, ყოველ ას წევრზედ თითო, სადაც ას წევრზედ ნაკლებია, იქ ერთი წარმომადგენელი უნდა აირჩეს.

თუ პარტიის წევრთა საერთო კრების მოწვევა შეუძლებელი იქნება, წარმომადგენელს ადგილობრივი კომიტეტი აირჩიეს.

**საქ. ერ. დემ. პარტიის მთავარი კომიტეტი.**

## მე-8 ყრილობა სახალხო თავისუფლების პარტიისა.

9 მაისს პეტროგრადში სახალხო თავისუფლების პარტიის მე-8 ყრილობა გაიხსნა. ყრილობა მრავალრიცხოვანი იყო ისე, როგორც მე-7 ყრილობა, ორი თვის წინედ რომ მოხდა. კრების განსახილველი საგნები შემდეგი იყო: საერთო პოლიტიკური ვითარება, მიწისა და ავტონომიის კითხვები. კრება გახსნა მილიუკოვმა, რომელსაც დამსწრენი მხურვალე ტაშით შეხვდნენ. თავმჯდომარედ ისევ მილიუკოვი აირჩიეს, რომელმაც წაიკითხა საერთო პოლიტიკური ვითარების შესახებ პირველი მოხსენება. მან აღნიშნა ის ენტუზიაზმი, რომელმაც ორი თვის წინედ ტალღასავით მთელ რუსეთზე გადიარა დროებითი მთავრობა მაშინ დიდის ავტორიტეტით იყო აღჭურვილი. „ცენზიანი" ელემენტი იმ დროს ერთად ერთ შეკავშირებულ ძალას წარმოადგენდა. ეგრედ წოდებულ „დემოკრატიულ წრეების" ორგანიზაცია უფრო მოგვიანებით დაიწყო. მრავალი სოციალისტი ჯერ უცხოეთიდან არ დაბრუნებულიყო და პარტიული განხეთქილება ჯერ ასე საგრძნობი არ იყო.

მას შემდეგ გავიდა ორი თვე და სურათიც თვალსაჩინოდ შეიცვალა. სოციალისტური პარტიები ენერგიულად შეუდგნენ ორგანიზაციებისა და პროპაგანდის მოწყობას და ჩქარა მოიპოვეს დიდი გავლენა სოფელშიც და ქალაქშიც, სადაც მათი მოძღვრება მახინჯდებოდა და უფრო რღვევას უწყობდა ხელს, ვინემ აშენებას. ლენინის ქადაგებამ ხომ მეტად გაართულა საქმე. მთავრობა საჩქარო საქმეებით დატვირთული, დეზორგანიზაციას ვერ უწევდა სათანადო ბრძოლას, რადგან ის ძალის მოხმარებას პრინციპიალად უარჰყოფდა. ბოლოს იძულებული გავხდით გვეფიქრნა ძალის მოხმარებაზე, მაგრამ ამ დროს საქმეში მუშათა საბჭო ჩაერია და თავის განკარგულებებით ჯარის მიმართ მთავრობას ღონისძიებათა მიღების საშუალება მოუსპო.

ამან აიძულა მთავრობა თავისი შემადგენლობა გავლენიან სოციალისტურ პარტიების წარმომადგენლებით შეევსო.

მილიუკოვი არჩევს საზოგადოების პოლიტიკურ სულის კვეთებას და აღნიშნავს სამს მიმდინარეობს. ერთი კონტრ-რევოლიუციურია, იგი თავდაპირველად დადუმებული იყო, მაგრამ ცხადია, რომ რევოლუციის შეცდომები ამ მიმდინარეობას უფრო მტკიცე ნიადაგს განუმზადებენ. მეორე მიმდინარეობა რევოლუციით მოპოვებულ პოლიტიკურ და სოციალურ ცვლილებათ ემხრობა და მათს დაცვაზე ზრუნავს: ამ ნიადაგზე დროებითი მთავრობა უნდა იდგეს და გონიერ მცხოვრებთა უდიდესი ნაწილიც, რომელიც უმთავრესად სახალხო თავისუფლების პარტიის გარშემო იკრებს თავს. მაგრამ ეს დიდი ნაწილი საკმაოდ შეკავშირებული არ არის; ის მოკლებულია სათანადო სააგიტაციო და საპროპაგანდო საშუალებით. ამის გამო ცხოვრებაში ამ ჟამად მესამე მიმართულება იმკვიდრებს ბატონობას. ამ მიმდინარეობის ლოზუნგია: „რევოლუცია გრძელდება." მაგრამ რა მიზანი აქვს რევოლუციის გაგრძელებას?

რევოლუცია ამ ჟამად მეცნიერულ სოციალიზმის შეხედულებით მხოლოდ ბურჟუაზიის პოლიტიკურ გამარჯვებას დაამყარებს. სოციალისტს ეს გამარჯვება სჭირდება რათა თავის საკუთარ გამარჯვებას ნიადაგი მოუმზადოს, ამ ჟამად კი ბურჟუაზიის ადგილს იგი ვერ დაიჭერს, რადგან ეს მას სოციალისტურ რეფორმებსაც დაავალებდა, რისთვისაც სახელმწიფო სრულიად მოუმზადებელია. ამ დოქტრინის შეხედულებით, პოლიტიკურ გარდატეხვას უსათუოდ სოციალისტურიც უნდა მოჰყვეს. მაგრამ რამდენი დრო დასჭირდება ამას? ამაზეა დამოკიდებული მემარცხენე პარტიათა ტაქტიკა რევოლუციის გაგრძელების საქმეში. 1905 წელს სოციალისტები ამისთვის სულ მცირე დროს ნიშნავდნენ, არა მარტო რუსეთისა, არამედ მთელი ევროპისათვისაც.

ამით ისინი მეცნიერულ სოციალიზმს დაშორდნენ და უტოპიზმს ბლანკიზმით გატაცებამ უმრავლესობა გაიყოლია, რის გამოც დამარცხდა რუსეთის პირველი რევოლუცია. ეხლა 11 წლის შემდეგ მეტი პოლიტიკური გამოცდილება დაგროვდა; ისე რომ ზოგიერთი სოციალისტები მთავრობაში შესვლასაც კი სთანხმდება. მაგრამ მასსა ისევ დაუყოვნებლივ სოციალისტურ გარდატეხვის ქადაგების ზეგავლენას განიცდის და „პროლეტარიატის დიქტატურის" იდეას ეგებება. რუსეთის რევოლუციის ბედი იმაზედ არის დამოკიდებული, თუ რომელი მიმართულება გაიმარჯვებს: სახელმწიფოებრივი შეგნებით გამსჭვალული სოციალიზმი თუ უკიდური სოციალისტური უტოპიზმი.

სახალხო თავისუფლების პარტიის პოზიციის შესახებ მილიუკოვი ამბობს, რომ მას მემარცხენე ცენტრის ადგილი უჭირავს, ე. ი. მემარცხენე ჯგუფებს უფრო უახლოვდება ვიდრე სრულიად არეულდარეულ და შეუკავშირებელ მემარჯვენე წრეებს.

(გაგრძელება იქნება)

## დილის ნაცრისფერობით.

ნისლის კოშკებით გადიშალა დილა ნაცრისფრად,
გარს მომეხვია მწუხარება სიკვდილის ფიქრად...
გულზე დამესო ფოლადობით ალმასის დანა,
საფლავის ფიქრით შავს წარსულში გადამაქანა...
— და ღამეებში უსიცოცხლო სახედ დამტოვა,
ბაღში ვარდები სიცივემა ეთრად დათოვა —;
მოკვდა სურვილი, ვარდთან ერთად ცეცხლად დაიწვა,
სირმის თმიანმა მყინვარის მთამ შავი ჩაიცვა...
არ ვიცი კიდევ თუ დავსტკბები გაზაფხულობით,
გულს თუ ვაამებ სამაისო მთის ჩაცმულობით?
ფიქრები ჩემი თუ აფეთქდენ წითელ ყვავილად,
და შავი დილა თუ იცვალა ვარდის სიცილად...
ჯერ კი გულს მიკლავს ლამაზ დილის ნაცრისფერობა,
მთებში ვვოცნებობ, ცრემლით განვვლე ნისლის ხეობა...

**ლადო მაჭავარიანი.**

## ეროვნული კითხვა.

**ფინეთ რუსეთის ურთიერთობა.**

ფინეთის სოციალ-დემოკრატთა ორგანო „მიურომესი" სწერს: „კერენსკი რომ პირველად ჰელსინგფორსში მოვიდა სოციალ დემოკრატთა პარტიამ წერილობით მიჰმართა და სთხოვა ფინელებს ქვეყნის მართვა-გამგეობის სახელმწიფოს მთავრის არჩევისა, სხვა ქვეყნებთან მოლაპარაკების, სავაჭრო და ეკონომიურ ნიადაგზე, რომ რუსეთმა მშვიდობიანობის დროს ფინეთში ჯარი არ იყოლიოს და საერთოდ, სოციალ-დემოკრატთა პარტიამ სთხოვა ფინეთის სრული დამოუკიდებლობა გარდა საგარეო პოლიტიკისა"-ო. გაზეთის სიტყვით კერენსკიმ, გენერალ-გუბერნატორის თანაშემწის სიტყვით აუწყა პარტიას, რომ თქვენს თხოვნას ვიწყნარებო. მაგრამ, როდესაც სენატმა წარადგინა პეტროგრადში ფინეთის ავტონომიის პროექტი, კირენსკი თავგამოდებით ეწინააღმდეგებოდა მას და თითქმის ეს ფინეთის მხრივ ომის გამოცხადებადაც სცნა, და სახალხო სახლში სიტყვის დროს გაუფრთხილებია კიდეც ფინელები. „გაფრთხილებამ —სწერს გაზეთი—საშინლად გაგვაკვირვა. ფინეთი უიარაღო და სუსტია. და იარაღიც რომა გვქონდეს, ჩვენ რუსეთის ჯარისა და მეზღვაურთა წინააღმდეგ თავის დღეში არ წავალთ, რადგან მათი სული და გული ჩვენს უფლებათა სამართლიან გადაჭრასთან არის დაკავშირებული. რუსეთის მუშას, გლეხ-პროლეტარიატს და ფინეთის ხალხის უმრავლესობას ერთმანეთისა არ უნდა ეშინოდეს, ხოლო მინისტრის ასეთი განცხადება შეურაცყოფაა ჩვენთვისაო".

## საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა

**კონფერენციაზე მიღებული რეზოლუციები. საქართველოს ავტონომიისა და რუსეთის ფედერაციის ძირითადი საფუძველნი.**

(გაგძელება, იხ. „ჩვ. ქვ." № 32).

III. **ნაციონალურ უმცირესობის უფლებათა გარანტია.**

1. საქართველოს არა ქართველ ეროვნების მოქალაქეებს უფლება აქვთ შეადგინონ თავისი ნაციონალურ კულტურული კავშირი, რომელსაც ექნება საკუთარი ორგანოები ეროვნულ კულტურულ საქმეების მოსაწყობად და საწარმოებლად. ნაციონალურ-კულტურულ კავშირების დადგენილებათა თანახმად მათ აღმასრულებელ ორგანოებს ეძლევათ საქართველოს სალაროდან ფული ნაციონალურ სკოლების შესანახად და ნაციონალურ კულტურული მიზნების განსახორციელებლად.

2. ზემოხსენებული ფული ეძლევათ იმ კრედიტებიდან, რომელსაც საქართველოს ბიუჯეტით დანიშნული არიან სასწავლებლის, სამეცნიერო და განმანათლებელი დაწესებულებათა შესახებ. რაოდენობა მისაცემ ფულისა განისაზღვრება საქართველოს მცხოვრებთა მთელის რიცხვისა და ნაციონალურ-კულტურულ კავშირების წევრთა რიცხვის პროპორციით.

ნაციონალურ-კულტურულ კავშირები, აღძრავენ რა შუამდგომლობას ფულის გადაცემის შესახებ, წარუდგენენ საქართველოს უმაღლეს მთავრობას თავის წევრთა სიას იმ ადგილების აღნიშვნით, სადაც ეს წევრნი სცხოვრობენ, ნაციონალურ-კულტურული კავშირები ყველა ამ ადგილებში, სადაც მათი წევრები მოსახლეობენ, ჰხსნიან თავის სურვილის მიხედვით სასწავლებლებს და სხვა განმანათლებელ დაწესებულებებს იმ გარდაუვალის პირობით, რომ აუცილებლად გახსნილ იქმნას საკმაო რიცხვი პირველდაწყებითის განათლებისა ყველა იმ ბავშვებისათვის, რომელთა მშობლიური ენაც არის ენა ნაციონალურ კავშირისა. საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში, რომელნიც დაარსებულ იქნებიან ნაციონალურ-კულტურულ ქავშირების მიერ, ქართული ენის და ლიტერატურის სწავლება სავალდებულოა.

3. ნაციონალურ-კულტურულ კავშირებს უფლებ აქვთ დააწესონ წევრთათვის პირდაპირი გადასახადი თავის მატერიალურ ღონისძიებათა გასაძლიერებლად, რომელიც შეიძლება იხარჯებოდეს მხოლოდ სასწავლო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის.

4. იმ მოსახლეობის ადგილებში, სადაც იმყოფებიან სასკოლო ასაკის ბავშვები, რომელთა მშობლიური ენაც არაქართული ენაა, საქართველოს მმართველობა აარსებს მათთვის საკმაო რიცხვს პირველ-დაწყებითის განათლების სკოლებისას, რომლებშიაც სწავლება სწარმოებს ბავშვთა მშობლიურ ენაზე. ამ მოვალეობისაგან საქართველოს მმართველობა თავისუფალია იმ შემთხვევაში ა) თუ არა ქართულ მშობლიურ ენის ბავშვთა კონტიგენტი საკმაო არ არის ერთის სკოლის შესაკრებად და ბ) თუ იმ ადგილზე გავრცელებულია მოქმედება სათანადო ეროვნების ნაციონალურ-კულტურულ კავშირისა.

5. მმართველობის, თვითმმართველობის და სასამართლოს იმ ოლქებში, რომელთა მცხოვრებლების 0,75 (ე. ი. სამი მეხუთედი ეკუთვნის ერთ-ერთ არაქართულ ეროვნებას, საქმის წარმოება ადგილობრივ მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოებში და სასამართლოში სწარმოებს აღნიშნულ უმრავლესობის ენაზე. მიწერ-მოწერა და ყოველგვარი ურთიერთობა ამ ადგილობრივ ორგანოებისა საქართველოს სხვა ადგილების იმავ ხარისხის ადგილობრივ ორგანოებთან სწარმოებს ქართულ ენაზე, ორთავ ოლქის საქმის წარმოების ენად ერთი და იგივე ენა არ არის მიჩნეული. უკანასკნელ შემთხვევაში მიწერ-მოწერის და ურთიერთობის ენად ითვლება საერთო საქმის წარმოების ენა. ურთიერთობა ადგილობრივ ორგანოებისა საქართველოს ცენტრალურ მართველობისა და მის წარმომადგენლებთან სწარმოებს ქართულ ენაზე.

ამ საერთო წესების უარყოფა და საქმის წარმოების შემოღება ქართულ ენაზე იმგვარ ადგილებში, რომელიც აქ არის აღნიშნული, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოში ასეთი დადგენილება მიღებულ იქმნება ხმათა შვიდი მეათედ უმრავლესობით.

6. ადგილობრივ მმართველობის, თვითმმართველობის და სასამართლო დაწესებულებებში, თუ ამ დაწესებულებათა რაიონის მცხოვრებთა არა ნაკლებ ერთი მეხუთედი და არა უმეტეს სამი მეხუთედი ეკუთვნის ერთ-ერთ არა ქართულ ეროვნებას ამ ეროვნულ უმცირესობის ენის ხმარება შესაძლებელია შემდეგის წესების თანახმად: ა) ყოველგვარი თხოვნა, განცხადება და განმარტება, სიტყვიერი და წერილობითი, შეიძლება წარდგენილ იქმნას ეროვნულ უმცირესობის ენაზე, ბ)

პასუხი ამგვარ თხოვნაზე, განცხადებასა და განმარტებაზე უნდა მიეცეს დაწესებულებათა მიერ იმავ ეროვნულ უმცირესობის ენაზე, გ) თუ პასუხი თავის ფორმალური მნიშვნელობით წარმოადგენს ისეთს განკარგულებას ან დადგენილებას, რომლის განსაჩივრებაც შეიძლება უმაღლეს ინსტანციაში, ადგილობრივი ორგანოები ვალდებული არიან დაინტერესებულ პირის თხოვნით მისცენ პირი ამ დადგენილებისა, თარგმნილი სათანადო ეროვნულ უმცირესობის ენაზე, დ) საჩივარი, რომელიც წარედგინებათ ადგილობრივ ორგანოებს მათს ზემოაღნიშნულ დადგენილებებზე და განკარგულებებზე, საქმის გადასატანად უმაღლესს ინსტანციაში შეიძლება დაწერილ იქმნას ეროვნულ უმცირესობის ენაზე, როდესაც ამ საჩივრებს ადგილობრივი ორგანოები წარუგზავნიან უმაღლეს ინსტანციებს, მათ უნდა დაერთოთ საჩივრის თარგმანი უმაღლესი ინსტანციის საქმის წარმოების ენაზე: თუ საჩივართან ერთად უმაღლეს ინსტანციაში წარიგზავნება თვით საქმე ადგილობრივ დაწესებულებისა. საქმის წარმოების ყველა ქაღალდები ეროვნულ უმცირესობის ენაზე დაწერილნი, ნათარგმნი უნდა იქმნენ უმაღლესს ინსტაციის საქმის წარმოების ენაზე; ე) როდესაც ნაციონალურ უმცირესობის ენაზე დაწერილის თხოვნით, განცხადებით ან განმარტებით გაჩნდება დავა ისეთს პირთა შორის, რომელნიც სხვადასხვა ეროვნებას ეკუთვნიან, თუ მათ შორის არ მოხდა შეთანხმება მათის სიტყვა-პასუხის ენას შესახებ, მოდავეებს ერთმანეთის ნალაპარაკევი გადაეცემათ თავ-თავის ნაციონალურ ენაზე ნათარგმნი, ხოლო დადგენილება და განკარგულებას გამოუცხადებენ ორთავე ენაზე; ვ) ადგილობრივ თვითმმართველობის დაწესებულებებში თვითმმართველობის წევრებს, რომელნიც ნაციონალურ უმცირესობას ეკუთვნიან, უფლება აქვთ წარმოსთქვან სიტყვები და შეიტანონ განცხადებანი თავის ნაციონალურ ენაზე; ეს სიტყვები და განცხადებანი იქვე ითარგმნება თვითმართველობის საქმის წარმოების ენაზე და თარგმანის საშუალებით ეცნობებათ თვითმართველობის ყველა წევრებს. ზ) მართველობის, თვითმმართველობის და სასამართლოს ორგანოები იმ შემთხვევაში როცა თითონ მიჰმართავენ თავისის ინიციატივით მათ ქვემდებარე პირებს, ეს მიმართვა უნდა ჰხდებოდეს იმ პირთა ნაციონალურ ენაზე, რომელთაც მიმართვა შეეხება, თუ ეს პირები იმ ეროვნულ უმცირესობას ეკუთვნიან, რომელთაც მისაკუთრებული აქვთ აქ ჩამოთვლილი უფლებანი ნაციონალურ უმცირესობისა.

7. მართველობის, თვითმართველობის, და სასამართლოს იმ რაიონებში, სადაც ქართველები შეადგენენ მცხოვრებთა უმცირესობას არა ნაკლებ 1/5 ისა, ქართული ენის უფლებები განისაზღვრება ზემოაღნიშნულ წესების თანახმად.

8. მართებლობის და სასამართლოს მოხელეებს იმ ადგილებში, სადაც ნაციონალურ უმცირესობათა ენების უფლებებია ცნობილი, ევალებათ როგორც ქართულის, აგრედვე ნაციონალურ უმცირესობათა ენების ცოდნა.

9. მართველობის, თვითმართველობის და სასამართლოს რაიონებს, სადაც ნაციონალურ უმცირესობის ენებს აღნიშნული უფლებები აქვს, განსაზღვრავს საქართველოს უმაღლესი მმართველობა წინასწარ ყოველ ხუთის წლისათვის სტატისტიკურ ცნობათა მიხედვით. ამ განსაღვრისთვის ადგილობრივ მცხოვრებლად მიიჩნევიან მხოლოდ ის პირები, რომელნიც რაიონის საზღვარში სცხოვრობენ არა ნაკლებ ერთის წლისა და ეკუთვნიან საქართველოს მოქალაქეებს.

10. იმ დაწესებულებებში, სადაც ნაციონალურ უმცირესობათა ზემოაღნიშნული უფლებები ცნობილი არ არიან, ეროვნულ უმცირესობის წარმომადგენელთ უფლება აქვთ სიტყვიერი განმარტებანი წარადგინონ თავის ნაციონალურ ენაზე ეს სიტყვიერი განმარტებანი ითარგმნება საქმის წარმოების ენაზე მოენეთა საშუალებით.

11. საქართველოს საერთო კრების სხდომაზე მის წევრებს, რომელნიც ეკუთვნიან არა ქართველ ეროვნებას, უფლება აქვთ წარმოსთქვან სიტყვები თავის ნაციონალურ ენაზე; შინაარსი მათის სიტყვებისა მოენეებმა იმავ სხდომაზე უნდა გადასცეს კრებას ქართულ ენაზე.

12. დეტალური წესები ნაციონალურ უმცირესობის ენათა ხმარების შესახებ შეიძლება გამოიცეს ჩვეულებრივის საკანონმდებლო წესით.

(შემდეგი იქნება.)

## ჟანდარმების მოქმედების შესახებ

ჟანდრმების მოქმედების შესახებ შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი თავადი ურუსოვი აცხადებს:

—გაზეთებში მრავალი ცნობები იბეჭდება „ოხრანკების" და ჟანდარმთა განყოფილების შესახებ. აღნიშნულია, რომ ისინი შავს ძალებს ემსახურებიან. მე წინადაც დეპეშაში № 25123 ვაცხადებდი, რომ ზომები მიგეღოთ ასეთ ნაირ ცნობების გაზეთებში გამოქვეყნების წინააღმდეგ და ეხლაც ამას ვიმეორებ, ვინაიდან ეს სამხედრო საიდუმლოებას შეიცავს. ამიტომ საჭიროა, რომ ბეჭდვითი ორგანოების რედაქტორებმა სათანადოთ გაარჩიონ ესა თუ ის ცნობა ყოფილ ჟანდარმის მოქმედების შესახებ და მხოლოდ ის დაბეჭდონ, რაც საქმე პოლიტიკურ მხარეს შეიცავს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ საშუალებას მოკლებული ვიქნებით ვებრძოლოთ მტრის მრავალრიცხოვან აგენტებს.

ხელს აწერს თავადი **ურუსოვი.**

## რ უ ს ე თ ი.

### მხედართა ურჩობა.

დასავლეთის ასპარეზზე ოფიცრებმა ადეცკომ და ივგულინმა სამხედრო პოზიციის დაკავებაზე უარი განაცხადეს. ოფიცრები კორპუსის საბჭომ სამართალში მისცა.

### შლისბურგის ამბები.

ამას წინად ქ. შლისბურგში დიდი ექსცესები მოხდა. ბრბომ დაარბია მაღაზიები აიკლო ექს-მეფის კუთვნილი მამულები. პეტერბურგის ამ საქმის წინასწარი გამოძიება მიანდო პროკურორ ბეზობრაზავს, რომელიც უკვე გაემგზავრა შლისბურგში.

### სასამართლოები რკინის გზებზე.

რკინის გზის სადგურებზე არსდება განსაკუთრებული სასამართლოები, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს წარმომადგენლობით.

ასეთ სასამართლოს მოვალეობაა ყოველი მომხდარი უწესოებანი ადგილობრივ გამოიძიოს

### სამხედრო სამინისტროს ცნობები.

სამხედრო მინისტრის ამხანაგებმა განაცხადა. ამჟამად ჯარს საომარი მასალა საკმაოდ აქვს, მაგრამ უზრუნველყოფილი არა ვართ სურსათ-სანოვაგით. ზოგიერთ ფრონტზე, ჩვენდა სამწუხაროდ, შიმშილმა უკვე თავისი საზარი სახე დაგვანახა. ორჭოფობა მავნებელია. უნდა გამოვტყდეთ და ვსთქვათ, რომ მდგომარეობა მეტად სამძიმო და კრიტიკულია. ისედაც გაძნელებული ტრანსპორტის (გაზიდ-გადმოზიდვის) საქმე სულ ერთიან გააფუჭა ჯარის თვითნებობამ. ცნობები მივიღე, რომ ზოგიერთ რკინის გზაზე ჯარმა ააწიოკა მცხოვრებნი და დაიტაცა მათი ქონება. დეზერტირობა საშიშ სახეს იღებს. სამხედრო უფროსებთან გაქცეული ჯარის კაცები თითქოს ბრუნდებიან, სამხედრო უფროსები მათ ბრძოლის ველზე ისტუმრებენ, მაგრამ ბრძოლის ველზე ჯარი ნაკლებად ბრუნდება. მაგალითად, ეკატერინოსლავიდან სამხედრო უფროსმა 1,000 კაცი გაგზავნა; ამათგან ფრონტზე მხოლოდ 200 მოვიდა.

### ბნელი საქმის გამოძიება.

1916 წელს მოხდა ებრაელთა აწიოკება. ამ ბნელ საქმეში იუსტიციის სამინისტრომ ბრალი დასდო დეპ. გოლოლოპოვს (მემარჯვენე) და იგი პასუხის გებაში მისცა.

### პროტესტი ადლერის გასამართლების გამო.

მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტების ბიურომ დაადგინა დეპეშით მიმართოს საერთაშორისო სოციალისტურ ბიუროს, ყველა ქვეყნების სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს და კერძოდ ავსტრიის სოციალ-დემოკრატებს, რათა ამათ ყოველგვარი ზომები მიიღონ ადლერის სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგოთ, რადგანაც ადლერი თავდადებული მებრძოლი არისხალხთა თავისუფლებისა და საყოველთაო ზავის იდეისათვის.

რუსეთის სოციალ-დემოკრატ „მენშევიკების" შტოს კონფერენცია მინისტრ შტიურკის მკვლელის ადლერის სისხლის სამართლის წესით გასამართლებისთვის მხურვალე პროტესტს უცხადებს ავსტრიის კონსტიტუციურ მონარქიას. „მენშევიკები"-ს კონფერენცია საერთაშორისო დემოკრატიას სთხოვს, თავს იდოს ადლერის მფარველობა.

### ა ნ ა რ ქ ი ა.

ქ. ცარიცინი ისევ ჯარის ხელშია. ჯარმა ქალაქი გაძარცვა და ნაონხობის შემოსავალი მიისაკუთრა.

ჩელიაბინსკში ჯარისკაცებმა ქალაქს თავის სასარგებლოდ 100,000 მანეთი გადასახადი შეაწერეს.

### კუტლერის განცხადება.

ვაჭრობა-მრეწველობის ყრილობაზე კუტლერმა სთქვა: მუშების მოთხოვნილება (შრომის ფასის მომატება) 800 მილიონი მანეთით არის გადიდებული, რომლის ატანა არცერთ მრეწველობას არ შეუძლიანო.

## ფრიდრიხ ადლერის გასამართლება.

ქ. ვენაში (ავსტრია) სასამართლომ გაარჩია საყურადღებო საქმე პრემიერ-მინისტრ შტიურგკის მკვლელის ფ. ადლერისა. მკვლელობის მთავარი მიზანი ყოფილა ავსტრიის შინა მდგომარეობის გამოაშკარავება. 7 მაისს დაიწყო სასამართლოს პროცესი. გასამართლების მსვლელობას მთელი ავსტრია მღელვარებით შეჰყურებდა. სატახტო ქალაქს პროვინციებიდან დიძალი ხალხი მოაწყდა. სასამართლოში ადლერი სუსტად გრძნობდა თავს, მაგრამ იგი მაინც რიხიანად აცხადებდა, რომ მზად არის ხალხს გადუშალოს სურათი ჰაბსბურგთა მონარქიის დაშლისა. სასამართლო პრეზიდიუმს ადლერმა განუცხადა: „მე დამნაშავე ვარ იმდენად, რამდენად დამნაშავეა თითოეული ოფიცერი, რომელიც ვისიმეს მოსაკლავად ბრძანებას ღებულობსო. მე სრულიად არ მაფიქრებს ის გარემოება, რომ სიკვდილით დამსჯიან, არამედ ვალად ვისახავ უკანასკნელად მედგრად ვამხილო ავსტრიის უმწეო ყოფა, ყოფა სამარცხვინო, საშუალო საუკუნისებური, რომელსაც ყველაფერში მეტერნიხის სული უდის. მე უარვყოფ იმ ხმებს, თითქოს ფსიხიურ ავადმყოფობის გამო თავის დაცვა არ შემეძლოს. მე მოვკალი შტიურგკი სრულის შეგნებით და ამ საქმის შესახებ ვფიქრობდი წელიწადნახევარს. შორს ჩემგან ადვოკატებო, რომელთაც თითქოს ჩემი დაცვა გსურთ!.. მე პასუხს ვაგებ ჩემს მოქმედებაში. მე რევოლუციელი ვარ, უანექსიო და უკონტრიბუციო ზავს, რომელსაც დღეს საერთაშორისო დემოკრატია ისახავს მიზნად, მე წლინახევრის წინად მოვითხოვდი ავსტრიას მხოლოდ რევოლუცია უშველის, კონსტიტუციის კანონის სიბნელით მოცულ მე 14 მუხლს მხოლოდ რევოლუციური რღვევა განაახლებს.

თავის სიტყვაში ადლერი განუწყვეტლივ იხსენიებს იმპერატორ ფრანც-იოსებს (აწ განსვენებულს) და კარლოსს, მინისტრთა კაბინეტს. გრაფ ჩერნინს და თაყვანსა სცემს რუსეთის რევოლუციას.

### სასამართლოს განაჩენი.

ადლერის დამცველმა ნაფიც ვექილებმა კონსტიტუციურ სასამართლოში წინადადება შეიტანეს, რათა ადლერის საქმე გადასცემოდა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს, მაგრამ სასამართლოს პრეზიდიუმმა ის წინადადება უარყო და ადლერს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა.

ხალხი დარწმუნებული იყო, რომ იმპერატორი კარლოსი ადლერს სასჯელს აპატიებდა. ადლერმა კითხვა აღძრა საქმის უმაღლეს ინსტანციაში გადატანის შესახებ. ავსტრიის სოციალ-დემოკრატიას საერთაშორისო დემოკრატიის დახმარების იმედი აქვს. სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოყვანა ჯერჯერობით გადაიდვა.

## უ ც ხ ო ე თ ი.

### გერმანეთის მოსალოდნელი საზავო გამოსვლა.

ჩრდილო-ამერიკის გაზეთებში მოთავსებულია ვაშინგტონიდან მოსული შემდეგი დეპეშა: „ფიქრობენ, რომ გერმანეთი უახლოეს საზავო გამოსვლაში უარს იტყვის აღმოსავლეთითაც და დასავლეთითაც ტერიტორიულ ანექსიაზე. თავისი სამხედრო და ეკონომიური ძლიერების გასამტკიცებლად გერმანეთს განზრახული აქვს, შექმნას შეერთებული სახელმწიფოებრივი ორგანიზმი, რომელიც ჩრდილოეთის ზღვიდან ხმელთა-შუა ზღვამდე აღწევს და მთელს ევროპას ორ ნაწილად სჭრის. გერმანეთს სურს აგრეთვე მოიპოვოს დარდანელზე, ეგეისა და ბალტიის ზღვებზე კონტროლის უფლება, რაიც პრუსიის მსოფლიო იმპერიისათვის ერთგვარი საფარი იქნება.

თუ ომის დღევანდელ რუქას ჩაუკვირდებით, დარწმუნდებით, რომ ეს რუქა კაიზერის პროგრამის დიდი ნაწილის განხორციელებას მოასწავებს. ასეთი მდგომარეობის სრული განხორციელება მეტს ძალას აძლევს მოკავშირეთა განცხადებას, რომ გერმანეთის საზავო გამოსვლები ნამდვილად სამხედრო-სტრატეგიული ხერხია და სხვა არაფერი. ამიტომ მეტი მნიშვნელობა ეძლევა ვილსონის იმ განცხადებასაც, საცა ის ამბობს, რომ იბრძოლებს მანამ, სანამ მსოფლიო დემოკრატიის გამარჯვება უზრუნველ-ყოფილი არ იქნება. გვაგონდება აგრეთვე ბალფიერის გაფრთხილება, ამ ომში გამარჯვება მხოლოდ შეუპოვარ ბრძოლას მოჰყვება შედეგადო."

### გერმანელ სოციალ-დემოკრატების იდეოლოგია.

„ფორვერტს"-ი წერილს უძღვნის ადლერის პროცესს, სადაც აღნიშნავს, რომ გერმანეთის სოციალ-დემოკრადებისათვის სრულიად უცხო ხილი არის და მიუღებელიც ადლერისებური რევოლუციური აქტები. ადლერის შეხედულებას იმაზე, რომ მისიური რევოლუციური გამოსვლები არის საჭირო, გერმანეთის სოციალ-დემოკრატების ოფიციალი ორგანო უძლურების იდეოლოგიად სახავს. „ასეთი იდეოლოგია, ამბობს გაზეთი, უფრო წინააღმდეგ შედეგამდის მიგვიყვანს, ვინემ პოლიტიკურ ძლიერებამდის. სანამ სოციალიზმი მხოლოდ პროტესტებითა და დემონსტრატიულ გამოსვლებით კმაყოფილდება, მისთვის სულ ერთია ზავი გამარჯვებისა თუ დამარცხების ნაყოფი იქნება. მაგრამ ის სოციალისტები, რომელთაც შეუგნიათ, რომ მათი მოქმედება ისტორიის სასწორზე აიწონება, უარს იტყვიან ისეთს ზავზე, რომელიც დამარცხების ნაყოფად მოგვევლინება და გულცივად ვერ შეჰყურებენ მშობელი ხალხის ბედიღბალს. ფრიდრიხ ადლერმა ეს ვერ შეიგნო და მისი ტრაგიკული შეცდომაც იმაში არის"-ო.

### გერმანეთისა და საფრანგეთის სოციალისტები.

ფრანგ-სოციალისტთა გერმანელ სოციალ დემოკრატების უმრავლესობასთან დამოკიდებულობის შესახებ, „ფორვერტსი" აცხადებს:

„თუ ფრანგ-სოციალისტებს გერმანელ სოციალ-დემოკრატების დამნაშავის სკამზე დასმა ჰსურთ, იმისთვის, რომ თვით მოსამართლეების ადგილი დაიკავონ, მაშინ იცოდენ მათ, რომ ასეთ მიზნებისათვის ჩვენ სტოკჰოლმში არ გავემგზავრებით."

### ბორგბიერგის სიტყვა რუსეთის შესახებ.

კოპენჰაგენში მომხდარ ყრილობაზე, რომელმაც 3000 კაცი მიიზიდა, ბორგბიერგმა სიტყვა სთქვა, სადაც აღნიშნა, რომ ამ ჟამად ზავისაკენ მისწრაფება საყოველთაოა. მისის სიტყვით, გერმანეთის კანცლერი ყოყმანობს, მაგრამ უკანასკნელს ჟამს ის სოციალ-დემოკრატებთან ერთის გზით წავა. შემდეგ ილაპარაკა თავის შთაბეჭდილებებზე, რომელიც რუსეთში მოგზაურობიდან გამოუტანია და სხვათა შორის აღნიშნა ის ფაქტიც, თუ როგორი უძრავი მიწები აქვთ კერძო მესაკუთრეთ რუსეთში, „არის ისეთი მემამულეებიც, სთქვა ბორგბიერგმა, რომელთა მამულების სივრცე საფრანგეთის ტერიტორიას უდრის. სახელმწიფო სათათბიროს თავმჯდომარე როძიანკო დანიის ოდენა მამულსა ჰფლობს, მაგრამ ის არ-ითვლება მსხვილ მემამულედ"-ო.

### გერმანეთის „ფინანსიური დახმარება". რუსეთს.

„ფოსიშე ცაიტუნგი" მეთაურში სწერს „რუსეთი მალე დაინახავს, რომ მისთვის ერთად ერთი გამოსავალი ის იქნება, თუ ის მიიღებს გერმანეთის მიერ წამოყენებულ სრულიად ხელსაყრელ ზავის პირობებს, ამისათვის ამ ზავის პირობებს უფრო მკაფიო და ნათელი გამოსახულება [illegible] საკუთარი [illegible] [illegible]მებ გარეთი, თუ ზავის ჩამოგდების შემდეგ გერმანეთი მზად იქნება დაეხმაროს რუსეთს ფინანსების მოწესრიგებაში"-ო.

### კონტრ რევოლუციონერთა საბუდარი კოპენჰაგენში.

ირწმუნებიან, რომ კოპენჰაგენში გულმოდგინე კონტრ რევოლუციური მუშაობა სწარმოებს. ასეთ მუშაობას ძველი რეჟიმისაგან ნაცადის საშუალებით უმაგრებენ ძირს და ჰსურთ რუსის ხალხი პატარა ერებზე წააქეზონ. ამასთანავე ერთად კოპენჰაგენში თავისუფლების სესხის საწინააღმდეგო კამპანიას ეწევიან.

### პოლონეთის რეგენტი.

ლიუბლინიდან იტყობინებიან: „პოლონეთის სახელმწიფო საბჭომ 1 მაისს მიიღო რეზოლუცია პოლონეთის რეგენტის დანიშვნის შესახებ. რეგენტი სახელმწიფოებრივ დინასტიას უნდა ეკუთვნოდეს, კათოლიკური სარწმუნოებისა უნდა იყოს და პოლონური ენა უნდა იცოდეს."

რედაქტორ გამომცემელი

**დ. ბ. ქვირკელია.**

## ექიმები:

**გ. ი. გოკიელი** ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი, ნერვებისა და ვენერიულ ავათმყოფთათვის. ავათმყოფნი მიიღებიან დილის 9—12 საათ. და საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი ს. 7 თ.

**ა. მ. ასათიანი** ლებულობს ქალურ, ვენერიულ და შინაგან სნეულებით ავათმყოფებს ყოველდღე დილის 11—2 საათამდე, საღამოს 6—8 საათამდე პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე სახლი № 3 ტელეფონი № 101.

**ი. ჩარექიშვი** ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. იღებს კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფებს. (სისხლში შესხმა „606" და „914") დილით $12^1/_2$—2 საათ. საღამოს 6—8 ს. მისამართი. ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახ. ტელეფონი № 135. 4

**მასაჟისა და სახის სამკ. კაბინეტი მარიამ ტ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, საექიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, ამასთან ვუცრი ყვავილსაც **ახლად მიღებულ დეტრიტით** და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქერტლს, ანუ ქეტერს ჩემგანვე ახალ გამოგონილ წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ ცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფები მიიღებიან დილის 9—2 და საღამოს 4—6 საათ. რჩევა და დარიგება ათი შაური. მისამართი: დადიანის შესახვევი გ. კოსტავას სახლი № 17.

## რკინისგზის მიმოსვლა.

(დრო ადგილობრივია ნაჩვენები).

ქ. ქუთაისს მოდის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისიდან | — დილის — | 8 ს. | წ. |
| „ | — საღამ. | 8 ს. 50 | „ |
| ბათომიდან | — დღისით — | 12 ს. 40 | „ |
| „ | — ღამის — | 1 ს. | „ |
| ფოთიდან | — დილის — | 10 ს. 26 | „ |
| ტყიბულიდან | — საღამოს — | 6 ს. 50 | „ |
| ხაშურიდან | — დილის — | 9 ს. 24 | „ |

ქ. ქუთაისიდან გადის.

| | | | |
|---|---|---|---|
| თფილისისაკენ | — დილის | 11 ს. — | „ |
| „ | — ღამის — | 11 ს. 34 | „ |
| ბათომისაკენ | — საღამოს — | 7 ს. 5 | „ |
| „ | — დილის — | 7 ს. | „ |
| ფოთისაკენ | — დღისით — | 4 ს. | „ |
| ტყიბულისაკენ | — დილის — | 8 ს. 40 | „ |
| ხაშურისაკენ | — დღით — | 5 ს. 20 | „ |

ამიერ კავკასიის საოლქო სამხედრო

სამრეწველო კომიტეტი აცხადებს, რომ იმ პირთ, რომელთაც შეუძლიანთ საოლქო სამხედრო კომიტეტისთვის საამშენებლო მასალის მიწოდება უნდა მიმართონ თბილისში მთავარ კომიტეტს ჭავჭავაძის ქუჩა № 2. ხეტყე უნდა იყოს განსაკუთრებით მუხისა. კომიტეტს უნდა ეცნობოს, აგრეთვე ფასი მასალისა და მიწოდების პირობები.

ამიერ კავკასიის საოლქო სამხედრო სამრეწველო კომიტეტის საქმეთა გამგე.

სტამბა", „ძმო პუშკინის ქუჩა გოკიელოვის სახლი, ქუთაისში